თბილისის მერია

ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამა

პროგრამის შესახებ:

პროგრამა ითვალისწინებს სოციალური მეწარმეობის პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. ბიზნეს მოდელზე დაფუძნებული პროექტების განხორციელებას, რომლებსაც აქვთ ერთი მხრივ სოციალური მიზანი, მეორე მხრივ ეკონომიკური მიზანი და ემსახურება შემოსავლის მიღებასა და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება როგორც პროდუქციის, ასევე სხვადასხვა სფეროს მიმართულებით სერვისების შექმნა, რომელთა განხორციელების პროცესში ახალგაზრდები დასაქმდებიან და ძირითადი მომხმარებლები, ასევე, ახალგაზრდები იქნებიან.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს სოციალური მისიის მქონე პროექტები, მათ შორის: მცირე ზომის საწარმოების, ლაბების, შემოქმედებითი სტუდიების, სახელოსნოების, ჰოსტელების, კაფე-ბარების, სასწავლო ცენტრების, გასართობ-სარეკრეაციო ცენტრების შექმნისა და განვითარების მიზნით.

პროგრამის მიზნები:

- სამეწარმეო უნარების მქონე ახალგაზრდების ინოვაციური და შემოქმედებითი იდეების რეალიზება;
- ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, მათი დასაქმების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდებზე ორიენტირებული სერვისების შექმნის მხარდაჭერა;
- ახალგაზრდული ჯგუფების და ახალგაზრდული ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა და მათი გაძლიერება;

დაფინანსების მიმღები სუბიექტები და დაფინანსების პირობები:

- დაფინანსდება ახალგაზრდობის სფეროში მოქმედი არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირები, რომლებიც წარმოადგენენ პროექტს სოციალური საწარმოს შექმნისა და განვითარების შესახებ;

- დაფინანსების მაქსიმალური ზღვარი ერთი პროექტის ფარგლებში: 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე;

- პროექტის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს ბიზნესისთვის საჭირო დანადგარების, ტექნიკის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების და მასალების შეძენა, პროექტის განსახორციელებლად საჭირო სხვადასხვა სერვისები და საოპერაციო ხარჯები;

- ბიუჯეტის არანაკლებ 70% ხარჯი უნდა იყოს ძირითადი საშუალებები, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და მასალები, დანარჩენი შესაძლებელია იყოს საოპერაციო ხარჯები, სერვისები, მარკეტინგული ხარჯი, შრომის ანაზღაურება და ა.შ;

- გამარჯვებულმა პროექტის გუნდმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი თანხის არანაკლებ 10% თანადაფინანსება, შესაძლებელია იყოს მატერიალურ-ტექნიკური ან/და ფინანსური სახით (ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე).

- თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის მიერ 1 (ერთი) წლის განმავლობაში განხორციელდება პროექტის მონიტორინგი, შეუსაბამოდ განხორციელების, შემთხვევაში შეძენილი ინვენტარის და დანადგარების დაბრუნების უფლებით.

პროგრამის მიმართულებები:

- არაფორმალური განათლება
- მასობრივი სპორტი
- კულტურა
- ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიები
- მწვანე ეკონომიკა, გარემოს დაცვა და ეკოლოგია
- არქიტექტურა
- დიზაინი
- გართობა და რეკრეაცია
- წარმოება
- მომსახურება
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა
- ეკოტრანსპორტი
- ტურიზმი
- აუდიო-ვიზუალური და ვიზუალური ხელოვნება
- ვეტერინარია

აუცილებელი მოთხოვნები:

დაფინანსების მიმღებია ახალგაზრდული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც წესდებაში (დებულებაში) მითითებული აქვს ახალგაზრდობის, ან/და სოციალური მეწარმეობის მიმართულებით საქმიანობა.

დაფინანსების მიმღები ორგანიზაციის სოციალური საწარმო უნდა ფუნქციონირებდეს (პროექტი განხორციელდეს) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და წარმოდგენილი პროექტი უნდა განახორციელოს დაფინანსებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში.

პროექტის განხორციელებაში უნდა დასაქმდნენ რომელიმე სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდები:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები;
- სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი ახალგაზრდები;
- მრავალშვილიანი ოჯახის წევრი ახალგაზრდები;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე ახალგაზრდები;
- მარჩენალ დაკარგული ახალგაზრდები;
- ომის ვეტერანების ოჯახის წევრი ახალგაზრდები ;

სერვისები ორიენტირებული უნდა იყოს ძირითადად ახალგაზრდულ სეგმენტზე.

განხორციელების ეტაპები და ვადები:

- სოციალური მეწარმეობის პროექტების მისაღებად კონკურსის გამოცხადება და საპროექტო განაცხადების მიღება: 2024 წლის 24 აპრილიდან - 2024 წლის 15 მაისის ჩათვლით;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკური გადარჩევა: 2024 წლის 16 მაისიდან - არაუგვიანეს 2024 წლის 1 ივნისის ჩათვლით;
- კომისიის მიერ პროექტების განხილვა და გამარჯვებული პროექტების გამოვლენა: არაუგვიანეს 2024 წლის 25 ივნისის ჩათვლით;
- გამარჯვებულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულება გაფორმდება და დაფინანსება განხორციელდება 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით;
- პროექტების დაწყების თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2024 წლის 1 ივლისისა.

რა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოთ დაფინანსების მისაღებად?

- განცხადება დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე;
- სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი საპროექტო განაცხადის ფორმა;
- ა(ა)იპ-ის წესდება (დებულება) (რეესტრის დამოწმებული);
- პროექტის განმახორციელებელი პირების CV-ები;
- ამონაწერი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ცნობა რომ სახელმწიფოს წინაშე არ აქვთ დავალიანება და ორგანიზაციის ანგარიშებს არ ადევს ყადაღა;
- ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;
- თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე);
- მატერიალურ - ტექნიკური საშუალებების, მასალების ან/და სერვისის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში ინვოისები;

პროექტის შეფასებისას სახელმძღვანელო კრიტერიუმები :

1. ბიზნესის განვითარების გეგმის რეალისტურობა;
2. სოციალური მიზანი და ინოვაციურობა;
3. განმახორციელებელი გუნდის გამოცდილება;
4. სერვისის მიზნობრივი აუდიტორია;
5. პროექტის ხარჯთეფექტურობა და ორგანიზაციის წვლილი პროექტის განხორციელებაში;

შენიშვნა: თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ პროდუქციის წარმოების მიმართულებით წარმოდგენილ პროექტებს.

პროგრამის განმახორციელებელი:
პროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

დოკუმენტების წარმოდგენა შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში (მის: შარტავას ქუჩა N7), რაიონული გამგეობების სერვის ცენტრებში ან/და ელექტრონულად: ms.gov.ge.

პროგრამის საკონტაქტო ინფორმაცია:

პროგრამით დაინტერესებულმა პირებმა ან/და ორგანიზაციებმა შესაძლებელია კითხვები გამოაგზავნონ ელფოსტის მისამართზე: s.ugrekhelidze@tbilisi.gov.ge; n.khelashvili@tbilisi.gov.ge

ან დაგვიკავშირდნენ სამსახურის ნომერზე: 032 2 37 84 55